# საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
# ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 02-05/65

ქ. ბათუმი 24 აპრილი, 2018 წ.

### ბსუ-ს ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 მარტის N01-11/33 და 03 აპრილის N01-11/43 ბრძანებებისა და ბსუ-ს ბიბლიოთეკაში სტაჟიორთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის 2018 წლის 11 აპრილის N1 ოქმისა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთ. სპეციალისტის 2018 წლის 13 აპრილის MES 5 18 00413649 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 მარტის N01-11/33 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად, ბსუ-ს ბიბლიოთეკაში 2018 წლის 01 მაისიდან 2018 წლის 30 ივნისამდე ვადით დაინიშნონ სტაჟიორებად (ანაზღაურების გარეშე) შემდეგი პირები:
   პირველი ცვლაში (ორშაბათი-პარასკევი $9^{00}$სთ -$14^{00}$სთ, კვირა $9^{00}$ სთ-$17^{00}$სთ)
   ა) ქეთევან არძენაძე;
   ბ) თამთა ნაგერვაძე.
   მეორე ცვლაში (ორშაბათი-პარასკევი $14^{00}$სთ -$19^{00}$სთ, შაბათი $9^{00}$სთ -$17^{00}$ სთ)
   ა)ანა ბაგრატიონი;
   ბ) ლიკა ჯულაყიძე.
2. სტაჟიორთა ხელმძღვანელად დაინიშნოს ბსუ-ს ბიბლიოთეკის დირექტორი ლელა თურმანიძე.
3. სტაჟიორთა ხელმძღვანელს და სტაჟიორებს დაევალოთ წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესის“ შესაბამისი ქმედებების განხორციელება.
4. ბიბლიოთეკის დირექტორს დაევალოს არაუგვიანეს 2018 წლის 2 ივლისისა წარმოადგინოს სტაჟიორების მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში.
5. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, დანიშნულ სტაჟიორებს და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ გვერდზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე